

# I4

სექტემბერი  
September

18:30

Vadim Repin / violin  
Sergei Redkin / piano  
Mischa Maisky / cello

Ludwig van Beethoven (1770-1827)  
Sonata for Violin and Piano No. 9 in A Major, Op. 47, "Kreutzer"  
Adagio sostenuto – Presto  
Andante con variazioni  
Presto

Pyotr Tchaikovsky (1840 - 1893)  
Trio for Violin, Cello and Piano in A Minor, Op. 50  
"In Memory of a Great Artist"  
Pezzo elegiaco. Moderato assai - Allegro giusto  
Tema con variazioni. Andante con moto - Variazioni finale e coda

ვადიმ რეპინი / ვიოლინო  
სერგეი რედკინი / ფორტეპიანო  
მიშა მაისკი / ჩელო

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770-1827)  
სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 9 ლა მაჟორი, თხზ. 47,  
"კრეიტცერის"  
Adagio sostenuto – Presto  
Andante con variazioni  
Presto

პეტრე ჩაიკოვსკი (1840 - 1893)  
ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის ლა მინორი, თხზ. 50  
"დიდი ხელოვანის ხსოვნას"  
Pezzo elegiaco. Moderato assai - Allegro giusto  
Tema con variazioni. Andante con moto - Variazioni finale e coda

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 9 ლა მაჟორი, თხზ. 47, "კრეიცერის"

მეცხრე სავიოლინო სონატა დაიწერა 1803 წელს, ბეთჰოვენის „შუა პერიოდის“ დასაწყისში. ამ პერიოდში, რომელსაც ხშირად როგორც "გმირულს" მოიხსენიებენ, ბეთჰოვენი გასცდა კლასიციზმის საზღვრებს, გახადა რა მუსიკა ბევრად უფრო გამომხატველი, პირადული და დრამატული. ამ დროს შექმნილი ნაწარმოებები ასევე გამოირჩევა მასშტაბურობით. სწორედ ასეთია მეცხრე - ბეთჰოვენის ათი სავიოლინო სონატიდან ყველაზე დიდი სონატა. შემთხვევით არ წერია ხელნაწერის პირველ გვერდზე "Sonata per il Pianoforte ed uno violino obbligato in uno stile molto concertante come d'un concerto" (სონატა ფორტეპიანოსა და ვიოლინოსთვის, დაწერილი საკონცერტო სტილში, თითქმის როგორც კონცერტი). თავდაპირველად სონატა მიეძღვნა აფრიკული წარმოშობის ბრიტანელ მევიოლინეს ჯორჯ ბრიჯტაუერს. სწორედ მან შეასრულა ნაწარმოების პრემიერა 1803 წლის 24 მაისს აუგარტენის თეატრში. თანხლებას ფორტეპიანოზე მევიოლინეს თავად ბეთჰოვენი უწევდა. საინტერესოა, რომ ბრიჯტაუერმა ფურცლიდან წაიკითხა სონატის მეორე ნაწილი, თანაც კომპოზიტორის პარტიტურიდან, ვინაიდან სავიოლინო პარტიის ამოწერის დრო არ იყო. მევიოლინის მოგონებების თანახმად, კონცერტიდან მალევე მან და ბეთჰოვენმა "ერთი გოგონას გამო" იჩხუბეს, რის შედეგადაც კომპოზიტორმა სონატა მიუძღვნა როდოლფ კრეიცერს - ფრანგ მევიოლინეს, რომელსაც დიდ პატივს სცემდა. არადა კრეიცერს, რომელმაც ნაწარმოები შეაფასა როგორც "აღმაშფოთებლად გაუგებარი", არასოდეს შეუსრულებია იგი - სონატა, რომელმაც მას უდიდესი პოპულარობა მოუტანა კლასიკური მუსიკის სამყაროს მიღმაც კი.

პეტრე ჩაიკოვსკი

ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის ლა მინორი, თხზ. 50 პეტრე ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ტრიო უახლოესი მეგობრის დაკარგვის ტკივილით იქნა შთაგონებული. კამერული მუსიკის ჟანრი არასოდეს იპყრობდა ჩაიკოვსკის განსაკუთრებულ ყურადღებას. არც საფორტეპიანო ტრიოს დაწერას გეგმავდა იგი, როდესაც 1880 წლის ოქტომბერში თავისი მფარველისგან, მეცენატ ნედეჟდა ფონ მეკისგან წერილი მიიღო. "რატომ არ გაქვს დაწერილი საფორტეპიანო ტრიო? ყოველდღე მიკრავენ ტრიოებს, მე კი ვოხრავ და ვნანობ, რომ ტრიო არ შეგიქმნია", - წერდა ქალი. "საქმე იმაშია, რომ ჩემი აკუსტიკური აპარატის წყობიდან გამომდინარე, ვერ ვიღებ ფორტეპიანოს კომბინაციას სოლო ვიოლინოსა და ჩელოსთან. ეს შედეგადობები თითქოს ერთმანეთთან შეუთავსებელია", - უპასუხა კომპოზიტორმა მეგობარს. მიუხედავად ამისა, 1881 წელს ჩაიკოვსკი იწყებს მუშაობას თავის ერთადერთ საფორტეპიანო ტრიოზე. სწორედ ამ წელს გარდაიცვალა მისი უახლოესი მეგობარი, დიდი პიანისტი ნიკოლაი რუბინშტეინი, რამაც ძალიან მძიმედ იმოქმედა კომპოზიტორზე. "თავში ბნელა, და სხვანაირად ვერც იქნება, ვინაიდან სუსტი გონება ვერ იძლევა პასუხებს კითხვებზე, რომლებიც უკავშირდება სიკვდილს, ცხოვრების მიზანსა და აზრს, მის უსასრულობასა და სასრულობას", - წერდა იგი. ყველაზე ორგანული ჩაიკოვსკისთვის დარდის მუსიკაში გამოხატვა იყო. ასე შეიქმნა ორნაწილიანი მასშტაბური საფორტეპიანო ტრიო "დიდი ხელოვანის ხსოვნას". რატომ მაინცდამაინც ტრიო? შესაძლოა იმიტომ, რომ ფონ მეკის შეკითხვამ მაინც მოახდინა ჩაიკოვსკის გენიის პროვოცირება. მით უმეტეს, რომ ნიკოლაი რუბინშტეინი არაჩვეულებრივი ანსამბლისტი გახლდათ. ტრიოს პრემიერა რუბინშტეინის გარდაცვალების წლისთავზე, 1882 წლის 23 მარტს მოსკოვის კონსერვატორიაში, მეგობრებისა და კოლეგების ვიწრო წრეში შედგა. მსმენელმა საოცრად შეიყვარა ტრიო და ის პრემიერიდან მოყოლებული ხშირად სრულდებოდა რუსეთსა და მის ფარგლებს გარეთ. ალბათ შემთხვევითი არაა, რომ 1893 წლის ნოემბერში, კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვსა და პეტერბურგში მის საპატივცემულოდ გამართულ კონცერტებზე არაერთხელ გაჟღერდა სწორედ ლა-მინორული ტრიო... მიძღვნილი "დიდი ხელოვანის ხსოვნას".

ამ დროს საქართველოში...

პეტრე ჩაიკოვსკი საქართველოსთვის განსაკუთრებული კომპოზიტორია. იგი ხუთჯერ ეწვია ჩვენს ქვეყანას და, როგორც წერილებიდან ირკვევა, ძალიან შეიყვარა ის და მისი დედაქალაქი. "არ ველოდი, რომ ტიფლისში ასე კარგად იცნობენ ჩემს მუსიკას... ყოველივე ეს საოცრად მსიამოვნებს და კიდევ უფრო დადებითად განმანწყობს ტიფლისის მიმართ, რომელიც ისედაც მომწონს", - წერდა კომპოზიტორი ნადეჟდა ფონ მეკს. სწორედ თბილისსა და ასევე ბორჯომში მუშაობდა ჩაიკოვსკი ისეთ შედეგებზე, როგორცაა "მოცარტიანა", "სუვენირი ფლორენციიდან" და "მძინარე მზეთუნახავი". ის ასევე იწერდა და სწავლობდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. ამ სიმღერებს შორის იყო "იავნანა", რომელიც ჩაიკოვსკიმ მოგვიანებით გამოიყენა თავის "არაბულ ცეკვაში" ცნობილი საშობაო ბალეტიდან "მაკნატუნა". ბოლოს საქართველოს კომპოზიტორი 1890 წლის შემოდგომაზე ეწვია. "რა საოცარი ქვეყანაა", - წერდა იგი ერთ-ერთ მეგობარს, "უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, აქ სამუდამოდ დავრჩებოდი".

Sonata for Violin and Piano No. 9 in A Major, Op. 47, "Kreutzer"

The No. 9 out of Beethoven's ten sonatas was composed in 1803 at the beginning of Beethoven's middle period, often characterized as the "heroic" one. This is the period when Beethoven went beyond the conventions of classicism, making music much more expressive, personal and dramatic. The pieces composed in this period are also larger in scale. So is the Ninth Sonata – the grandest of all ten. On the title page Beethoven described it as "Sonata per il Piano-forte ed uno violino obbligato in uno stile molto concertante come d'un concerto" (Sonata for the pianoforte and violin obbligato, written in a very concertato style, almost like a concerto). Originally it was dedicated to the British violinist of African descent George Bridgetower. He premiered the work on 24 May 1803, at the Augarten Theatre with Beethoven playing the piano part. Interestingly, Bridgetower sight-read the second movement of the sonata from the composer's manuscript as there had been no time to copy out the violin part. According to the violinist's recollection, shortly after the concert he and the composer quarrelled "about a girl" that resulted in Beethoven dedicating the Sonata to Rodolphe Kreutzer – the French violinist he admired. Interestingly, Kreutzer found it "outrageously unintelligible" and never performed the Sonata that made him popular beyond the world of classical music.

Pyotr Tchaikovsky

Trio for Violin, Cello and Piano in A Minor, Op. 50

Tchaikovsky composed his Piano Trio as a response to being devastated by losing a close friend. He had no plans to write a piano trio when in October 1880 he received a letter from his patroness and friend Nadezhda von Meck. "Why have you not written a single trio? I regret this every day because every day they play me a trio and I always sigh because you have not composed a single one," she wrote. "The thing is, to my ears, the acoustic combination of piano with violin or cello solo is completely incompatible," replied the composer. However, in 1881, Tchaikovsky began to work on his only Piano Trio. It was the year when his close friend, the great pianist Nikolai Rubinstein died, leaving the composer with overwhelming pain and grief. "It's dark in my head, it could not be otherwise. Questions on death, the purpose and meaning of life, its infinity or finitude are insoluble for a weak mind," he wrote to von Meck. The most natural way to express his sorrow was to compose music. And he wrote the large-scale Piano Trio in two movements, "In Memory of a Great Artist". Why the piano trio? Perhaps because von Mack did manage to provoke his genius. Besides, Nikolai Rubinstein was an extraordinary ensemble player. The Piano Trio was premiered at the Moscow Conservatory on March 23, 1882, the anniversary of Rubinstein's death. It was performed for a small circle of friends who loved the Trio. Since the premiere it has often been performed in Russia and abroad. Not without reason, in November 1893, after Tchaikovsky's death, the A Minor Trio was frequently performed at concerts in Moscow and St. Petersburg in memory of the great artist.

## Meanwhile in Georgia

Tchaikovsky is a special composer for Georgia. He visited our country five times and according to his letters fell in love with Georgia and its capital. "I have not expected them to know my music that well in Tiflis... It pleases my soul, making Tiflis even more attractive for me," he wrote to Nadezhda von Meck. Tchaikovsky worked on some of his masterpieces, such "Mozartiana", "Souvenir de Florence", "Sleeping Beauty", in Tbilisi and Borjomi, recording and studying at the same time Georgian folk songs. Among those songs was the lullaby "Iavnana" which he later used in his "Arabian Dance" from the famous Christmas ballet "The Nutcracker". In the autumn of 1890, Tchaikovsky visited Georgia for the last time. "What an amazing country," he wrote to his friend, "if I were younger, I would have stayed here forever."

